

# სტიპენდიების პროგრამა



სკოლის გარედან დაფინანსებული სტიპენდიები: მე-8-დან მე-11 კლასის ჩათვლით მოსწავლეებისთვის.  
გამორჩეული მოსწავლეებისათვის კომაროვის სკოლაში წესდება სტიპენდიები.

მოსწავლეს არჩევს მოსწავლეთა განვითარების მიმართულებით კურატორ მოადგილის მიერ უფლებამოსილი პირი. ისვე უწევს მონიტორინგს მოსწავლეთა მიღწევებს და სასტიპენდიო კრიტერიუმების შესრულებას.

სტიპენდია შეიძლება დააწესოს შესაბამისმა ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა. კრიტერიუმები და სტიპენდიის სპონსორის შერჩევის წესი განისაზღვრება მარკეტინგული სტრატეგიით.  
სტიპენდია შეიძლება იყოს სკოლის მიერ შერჩეული სახელობის ან სპონსორი კომპანიის სახელობის. ასევე, შესაძლებელია სპონსორი იყოს სახელობითი სტიპენდიის წარმდგენი.

სტიპენდიების პროგრამის მიზანია, კომაროვის ისტორიაში მნიშვნელოვანი ფიგურების პოპულარიზაცია, პარტნიორობების გაძლიერება და მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება.

სკოლა სპონსორს სთავაზობს ერთი ან რამდენიმე სტიპენდიის დაფინანსებას. ზოგიერთი სტიპენდია შეიძლება გაიცეს რამდენიმე მოსწავლეზე, ზოგი კი მხოლოდ ერთზე.

ერთმა მოსწავლემ სემესტრის განმავლობაში შეიძლება აიღოს არაუმეტეს ორი სტიპენდიისა. დარჩენილი სტიპენდიები გაუქმდება.  
სტიპენდიის მინიმალური რაოდენობა განისაზღვრება თვიურად 125 ლარით, საიდანაც 100 ლარი სტიპენდიაა, ხოლო 25 ლარი საშემოსავლო გადასახადი. სტიპენდიის ხანგრძლივობა არ უნდა იყოს 3 თვეზე ნაკლები. კომპანიის ზომის მიხედვით, პასუხისმგებელი სამსახური წყვეტს შეთავაზების მინიმალურ პაკეტს და მას წარუდგენს პოტენციურ სპონსორს. ოქროს სტიპენდია 200 ლარიანია, ვერცხლის მედალოსნებისთვის 150-ლარიანი, ხოლო ბრინჯაოს მედალოსნებისთვის 100-ლარიანი.

სკოლაში იქმნება სასტიპენდიო საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს დირექტორი. მისი წევრები არიან დირექტორის მოადგილეები, მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, პროექტების მართვის სამსახურის უფროსი, სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსი, სწავლის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი, პანსიონის კოორდინატორი და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი საგნის მასწავლებლები. სასტიპენდიო საბჭოს მუშაობაში შეიძლება ჩაერთონ ალუმნის საბჭოსა და სპონსორის წარმომადგენლები.

## ვალერი მელაძეს სტიპენდია

გაიცემა 8, 9, 10 და 11 კლასებში ერთად მაქსიმუმ 2 მოსწავლეზე.

**სავალდებულო კრიტერიუმები:** 8, 9 ან 10 ქულა ყველა საგანში; ფიზიკასა და მათემატიკაში 10 ქულა; სტაბილური დისციპლინა (სემესტრის განმავლობაში არ აქვს 3 დაგვიანებაზე მეტი, არ არის გაძევებული კლასიდან ერთზე მეტჯერ და არ აქვს საშუალო ან მძიმე დისციპლინური გადაცდომა).

### ამოსარჩევი კრიტერიუმი:

- სკოლაზე ზრუნვა;
- ყველაზე მეტი სასარგებლო პროექტის განხორციელება სკოლისთვის;
- ყველაზე მეტი ჩართულობა სკოლის აქტივობებში.

სტიპენდიის გაცემაზე გადაწყვეტილებას იღებს სასტიპენდიო საბჭო.

სტიპენდია გაიცემა 5 თვის ვადით.

## გრიშა წულაიას სტიპენდია

გაიცემა 8, 9, 10 და 11 კლასებში ცალ-ცალკე.

**სავალდებულო კრიტერიუმები:** 8, 9 ან 10 ქულა ყველა საგანში; ფიზიკასა და მათემატიკაში 10 ქულა; სტაბილური დისციპლინა (სემესტრის განმავლობაში არ აქვს 3 დაგვიანებაზე მეტი, არ არის გაძევებული კლასიდან ერთზე მეტჯერ და არ აქვს საშუალო ან მძიმე დისციპლინური გადაცდომა), არ არის ოლიმპიადის გამარჯვებულთა ათეულში.

**ამოსარჩევი კრიტერიუმი:** ყველაზე სტაბილური ათოსანი მათემატიკაში, რაც იზომება შემდეგი სისტემით:

ა) ყველაზე მაღალი საშუალო ნიშანი მათემატიკაში - 40%;

ბ) ყველაზე მაღალი საშუალო ქულა მათემატიკის ქვიზებში - 60%.

თუ ამ კრიტერიუმით ვერ გამოვლინდება ერთი მოსწავლე, თანაბარქულიანი მოსწავლეებისთვის ტარდება სასტიპენდიო წერა. სტიპენდიას მიიღებს პირველ ორ ადგილზე გასული მოსწავლე. პირველ ადგილზე თანაბარი ქულების შემთხვევაში, ყველა პირველ ადგილზე გასული მოსწავლე და ასევე, მეორე ადგილზე თანაბარი ქულების შემთხვევაში, პირველ ადგილზე გასული და მეორე ადგილზე გასული მოსწავლეები.

სტიპენდია გაიცემა 5 თვის ვადით.

## ჯუანშერ ჯურხაძის სტიპენდია

გაიცემა 9, 10 კლასებში ცალ-ცალკე.

**სავალდებულო კრიტერიუმები:** სავალდებულო კრიტერიუმები: 8, 9 ან 10 ქულა ყველა საგანში; ფიზიკასა და მათემატიკაში 9 ან 10 ქულა; სტაბილური დისციპლინა (სემესტრის განმავლობაში არ აქვს 3 დაგვიანებაზე მეტი, არ არის გაძევებული კლასიდან ერთზე მეტჯერ და არ აქვს საშუალო ან მძიმე დისციპლინური გადაცდომა), ისტორიაში 10 ქულა.

### ამოსარჩევი კრიტერიუმი:

- განსაკუთრებული ცოდნა და უნარები ისტორიაში - მოსწავლეებმა 2-ნევირიან ჯგუფებში უნდა მოამზადონ პრეზენტაცია, რომელსაც ჩაიბარებენ ისტორიის მასწავლებლები. ამ ჯგუფში შემაჯავალ ორივე მოსწავლეს ისტორიაში უნდა ჰქონდეს 10 ქულა. პრეზენტაციების კონკურსი ტარდება სემესტრის ბოლოს. პრეზენტაციების თემები გამოქვეყნდება კონკურსის გამოცხადებასთან ერთად და მოსწავლეებს მოსამზადებლად ექნებათ 1 კვირა. პრეზენტაციის ხანგრძლივობა უნდა იყოს 15-20 წუთი. პრეზენტაციის ნაცვლად, შეიძლება ჩატარდეს სასტიპენდიო ანალიტიკური წერა.

სტიპენდია გაიცემა 5 თვის ვადით.

## გელა მანელიძის სტიპენდია

გაიცემა მათემატიკის ოლიმპიადის ასაკობრივ ჯგუფებში ცალ-ცალკე.

### სავალდებულო კრიტერიუმები:

- 8, 9 ან 10 ქულა ყველა საგანში; ფიზიკასა და მათემატიკაში 10 ქულა; სტაბილური დისციპლინა (სემესტრის განმავლობაში არ აქვს 3 დაგვიანებაზე მეტი, არ არის გაძევებული კლასიდან ერთზე მეტჯერ და არ აქვს საშუალო ან მძიმე დისციპლინური გადაცდომა).

**ამოსარჩევი კრიტერიუმი:** მიიღებს მათემატიკის ეროვნულ ოლიმპიადაში საუკეთესო ადგილზე მყოფი მოსწავლე(ები).

სტიპენდია გაიცემა 5 თვის ვადით.

## ნათელა კოლონიას სტიპენდია

გაიცემა 8, 9, 10, 11 კლასებში ცალ-ცალკე ყველა მოსწავლეზე, რომელიც აკმაყოფილებს კრიტერიუმებს.

**სავალდებულო კრიტერიუმები:** 8, 9 ან 10 ქულა ყველა საგანში; ფიზიკასა და მათემატიკაში 10 ქულა; სტაბილური დისციპლინა (სემესტრის განმავლობაში არ აქვს 3 დაგვიანებაზე მეტი, არ არის გაძევებული კლასიდან ერთზე მეტჯერ და არ აქვს საშუალო ან მძიმე დისციპლინური გადაცდომა).

### ამოსარჩევი კრიტერიუმი:

- გაიცემა გოგონებზე;
- საუკეთესო შედეგები ოლიმპიადებში, რაც იზომება ოლიმპიადის ათეულში მოხვედრით;
- ზედა კრიტერიუმით გათვალისწინებულ მოსწავლეებს შორის, საუკეთესო საშუალო ქულა ყველა საგანში.

სტიპენდია გაიცემა 5 თვის ვადით.

## ლევან ჯანაშიას სტიპენდია

**სავალდებულო კრიტერიუმები:** 8, 9 ან 10 ქულა ყველა საგანში; ფიზიკასა და მათემატიკაში 10 ქულა; სტაბილური დისციპლინა (სემესტრის განმავლობაში არ აქვს 3 დაგვიანებაზე მეტი, არ არის გაძევებული კლასიდან ერთზე მეტჯერ და არ აქვს საშუალო ან მძიმე დისციპლინური გადაცდომა).

**ამოსარჩევი კრიტერიუმი:** მიიღებს ფიზიკის ეროვნულ ოლიმპიადაში საუკეთესო ადგილზე მყოფი მოსწავლე(ები).

სტიპენდია გაიცემა 5 თვის ვადით.

## ჯემალ ვეკუას სტიპენდია

გაიცემა 9, 10, 11 კლასებში ცალ-ცალკე.

**სავალდებულო კრიტერიუმები:** 8, 9 ან 10 ქულა ყველა საგანში; ფიზიკასა და მათემატიკაში 10 ქულა; სტაბილური დისციპლინა (სემესტრის განმავლობაში არ აქვს 3 დაგვიანებაზე მეტი, არ არის გაძევებული კლასიდან ერთზე მეტჯერ და არ აქვს საშუალო ან მძიმე დისციპლინური გადაცდომა), პანსიონის მოსწავლე.

### ამოსარჩევი კრიტერიუმი:

- საუკეთესო საშუალო ქულა ყველა საგანში;
- ყველაზე მეტი ჩართულობა კლასგარეშე განხორციელებულ პროექტებში და პანსიონის ცხოვრებაში, რასაც აფასებს სასტიპენდიო საბჭო.

სტიპენდიის გაცემაზე გადაწყვეტილებას იღებს სასტიპენდიო საბჭო.

სტიპენდია გაიცემა 5 თვის ვადით.

## ჯემალ კიკნაძის სტიპენდია

გაიცემა 9, 10, 11 კლასებში ცალ-ცალკე.

**სავალდებულო კრიტერიუმები:** 8, 9 ან 10 ქულა ყველა საგანში; ფიზიკასა და მათემატიკაში 10 ქულა; სტაბილური დისციპლინა (სემესტრის განმავლობაში არ აქვს 3 დაგვიანებაზე მეტი, არ არის გაძევებული კლასიდან ერთზე მეტჯერ და არ აქვს საშუალო ან მძიმე დისციპლინური გადაცდომა).

### ამოსარჩევი კრიტერიუმი:

- ყველაზე მეტი განხორციელებული ინოვაციური პროექტი ან გამოგონება, რომელიც გავიდა შესაბამის პროექტში/მიიღო დაფინანსება/მოიგო კონკურსი;
- ფიზიკის ექსპერიმენტულ ტურნირებში მონაწილეობა;
- კვლევით პროექტებში მონაწილეობა.

სტიპენდიის გაცემაზე გადაწყვეტილებას იღებს სასტიპენდიო საბჭო.

სტიპენდია გაიცემა 5 თვის ვადით.

## სიმონიკა სხირტლაძის სტიპენდია

გაიცემა 9, 10, 11 კლასებში ცალ-ცალკე.

**სავალდებულო კრიტერიუმები:** 8, 9 ან 10 ქულა ყველა საგანში; ქართულ ენასა და ლიტერატურაში 9 ან 10 ქულა, სტაბილური დისციპლინა (სემესტრის განმავლობაში არ აქვს 3 დაგვიანებაზე მეტი, არ არის გაძევებული კლასიდან ერთზე მეტჯერ და არ აქვს საშუალო ან მძიმე დისციპლინური გადაცდომა).

### ამოსარჩევი კრიტერიუმი:

- სტიპენდიატის შესარჩევად ტარდება ესეების კონკურსი ერთ ან ორ ტურად, მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით. ესეების კონკურსი ტარდება სემესტრის ბოლოს და მის ჩატარებას უზრუნველყოფს ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა. ესეების კონკურსი უნდა ჩატარდეს თავისუფალი აზროვნების, წერის მანერისა და სტილისტიკის, ორიგინალურობისა და მართლწერის კრიტერიუმებით. ესეების კონკურსი არ უნდა ჩატარდეს ქართული ენისა და ლიტერატურის ოლიმპიადის ფორმატით. ესეების შეფასებას უზრუნველყოფს მასწავლებლებისგან შემდგარი კომისია.

სტიპენდია გაიცემა 5 თვის ვადით.

## სტიპენდიების პროექტის ანგარიშის ნომერი

GE96TB1100000360800056

